სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს
ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ქალბატონო თამარ,

თქვენი მიმდინარე წლის 26 ოქტომბრის N21/6358 ხარვეზის წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ:

- საქართველოს მოსავალი არ გეგმავს საკუთარ ტერიტორიაზე განათავსოს წყლის სამარაგო რეზერვუარი ან წყლის ამოსაქაჩი ტუმბო. აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილი იყო ჩვენი მიმდინარე წლის 18 ოქტომბრის №5711 განცხადებით, ისევე როგორც 8 სექტემბრის N4703 განცხადებით წარმოდგენილ სკრინინგის დოკუმენტში. ზემოაღნიშნული ინფორმაცია იკითხება ჩვენი მხრიდან **უკვე ორჯერ** წარმოდგენილი სკრინინგის ანგარიშის მე-3 თავშიც, სადაც აღნიშნულია, რომ „ შპს „საქართველოს მოსავალის" ტერიტორიაზე განთავსებული არ იქნება წყლის შეგროვებისთვის გათვალისწინებული რეზერვუარი". ამავე თავში ირკვევა, რომ წყლის ამოსაქაჩი ტუმბო თავსდება შპს „ლურჯი მოცვის საქრთველოდან" ტერიტორიაზე არსებული წყალაღების წერტილის მიმდებარედ.
  გაურკვეველია, რომელი რეზერვუარის ან ტუმბოს GPS კოორდინატებია ხარვეზის წერილით მოთხოვნილი. იმ შემთხვევაში, თუ სააგენტო პოტენციურად გულისხმობს, უშუალოდ შპს „საქართველოს მოსავალის" ტერიტორიაზე მოსაწყობი სატუმბი სადგურის GPS კოორდინატებს, მისი მიახლოებითი კოორდინატი იქნება : X-740296; Y- 4704167. ამასთან, დამატებით გაცნობებთ, რომ შპს „ლურჯი მოცვის საქართველოდან" ტერიტორიაზე განთავსებული რეზერვუარისა და წყლის ამოსაქაჩი ტუმბოს კოორდინატი წარმოდგენილია ამავე კომპანიის სკრინინგის დოკუმენტაციაში, რომელზეც დღეის მდგომარეობით სააგენტოში გადაწყვეტილების გაცემის მიზნით მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება და კომპანიის საქმიანობით გათვალისწინებულ ინფრასტრუქტურაზე ინფორმაცია სააგენტოსთვის უკვე ხელმისაწვდომია;
- თქვენი მეორე შენიშვნის თანახმად, „დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იყოს ტუმბოდან წვეთოვან სარწყავ სისტემამდე გათვალისწინებული მილების პარამეტრების შესახებ ინფორმაცია (სიგრძე, დიამეტრი)". მოგახსენებთ, რომ შპს „საქართველოს მოსავალის" ტერიტორიაზე მოსაწყობი სატუმბი სადგურიდან არანაირი დამოუკიდებელი მილი არ არის გათვალისწინებული, იმისათვის, რომ წყალი მოხვდეს წვეთოვან სარწყავ სისტემაში. სატუმბი ოთახიდან წყალი პირდაპირ მიწოდებულ იქნება და გადანაწილდება წვეთოვან სარწყავ სისტემაში. ჩვენ მიერ წარმოდგენილ არც ერთ სკრინინგის ანგარიშში არ იყო ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ სატუმბი ოთახიდან დამოუკიდებელი მილის საშუალებით უნდა გადასულიყო წყალი წვეთოვან სარწყავ სისტემაში. შესაბამისად, გაურკვეველია,

სსიპ გარემოს ეროვნულ. სააგენტო
03 11 2022
№ 6134

რომელი მილის პარამეტრებზე არის მოთხოვნილი ინფორმაცია თქვენი წერილის მეშვეობით.

გთხოვთ, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოთხოვნების თანახმად, იმსჯელოთ სკრინინგის განცხადებით წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე და მიიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

დანართი : სკრინინგის ანგარიში, Shape ფაილები.

პატივისცემით,

შპს „საქართველოს მოსავალის“ დირექტორი

ალექსანდრე ნარსია